ხელშეკრულება # 225

(სამართლებრივი დახმარების თაობაზე)

ქ. თბილისი 30 ივნისი 2011 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქ. ზესტაფონის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა მშვენიერაძის სახით ერთის მხრივ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში ,,შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის დავით კერესელიძის სახით მეორეს მხრივ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამართლებრივი დახმარების გაწევა და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1200 (ათასორასი) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ღირებულება თვეში შეადგენს 200 (ორასი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. უზრუნველყოს დამკვეთისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობა;

2.2. უზრუნველყოს დამკვეთისათვის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი ხელშეწყობა;

2.3. უზრუნველყოს დამკვეთის მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

2.4. უზრუნველყოს დამკვეთისათვის სამართლებრივი აქტების მომზადებაში ტრენინგებისა და სწავლების ჩატარება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი აქტების მომზადებაში უშუალო მონაწილეობის მიღება;

2.5. უზრუნველყოს დამკვეთისათვის შრომითი ხელშეკრულების მომზადებაში ხელშეწყობა;

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.2. მოითხოვოს შემსრულებლისაგან სამოქალაქო სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის დანიშვნა.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. თუ დამკვეთი უარს განაცხადებს შემსრულებლის მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარების მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული გაწეული სამართლებრივი დახმარების საფასურის გადახდისაგან.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 1 ივლისიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
ს.ს.ი.პ. - ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქ. ზესტაფონის №2 საჯარო სკოლა მის. ქ. ზესტაფონი, წერეთლის 4 ტელ. 8492 25 33 81; 577 23 30 02 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი. ბანკის კოდი BAGAGE22 ს/კ 230058898 ა/ა 151279300 დირექტორი გელა მშვენიერაძე (ხელმოწერა)	ს.ს.ი.პ. – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მის. ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს თიბისი ბანკის მარჯანიშვილის ფ-ლი ს/კ № 202330566 ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE13TB11 0000 0340 8003 44 დირექტორის მოადგილე დავით კერესელიძე (ხელმოწერა)